



საერთო-სამოქალაქო მოძრაობა
„მრავალეროვანი საქართველო“

საინფორმაციო ბიულეტენი

ვილწვით ინკლუზიისათვის

სექტემბერი-ოქტომბერი
2018 წელი

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადდა და გამოიცა საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე წინასაარჩევნო, არჩევნების დღეზე და არჩევნების შემდგომ პერიოდზე სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში.

სამონიტორინგო პროგრამა ხორციელდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED) ფინანსური მხარდაჭერით.

საინფორმაციო ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED) მოსაზრებებს.



Kingdom of the Netherlands



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

საკონტაქტო ინფორმაცია:



დ. უზნაძის ქ.117, II სად საქართველო, თბილისი, 0102



<http://pmmg.org.ge/>



pmmg@pmmg.org.ge



<https://www.facebook.com/PMMG.ORG/>

სარჩევი:


1. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები - „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამა 2
2. წინასაარჩევნო პერიოდი - პრაქტიკა, სიახლეები და გამოწვევები 4
3. ჩართულობა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განსავითარებლად - „მრავალეროვანი საქართველოს“ პროგრამული აქტიობები 7
4. ინფორმირებული ამომრჩეველი - გააზრებული არჩევანი 10
5. მზადება არჩევნების დღისათვის 12

1. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები - „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამა

საქართველოში არჩევნებზე მრავალწლიანი დაკვირვების შედეგების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ელექტორალურ პროცესზე სამონიტორინგო პროგრამის განხორციელების საჭიროებას, რაც გულისხმობს როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების დღის და შემდგომი პერიოდის პროცესზე დაკვირვებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული საარჩევნო ოლქები, რომლებიც ტრადიციულად გამოირჩევიან წინაარჩევნო პერიოდში საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრაქტიკით, ისევე როგორც არჩევნების დღეს ელექტორალური ხასიათის რიგი პრობლემებითა და გამოწვევებით.

შესაბამისად, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ ახორციელებს წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და შემდგომი პერიოდის მონიტორინგს #21 გარდაბნის, #22 მარნეულის, #23 ბოლნისის, #24 დმანისის (ქვემო ქართლი), #40 ახალქალაქის, #37 ახალციხის, #41 ნინოწმინდის, #38 ადიგენის, #36 ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთი) და #11 საგარეჯოს (კახეთი) საარჩევნო ოლქებში.



წინასაარჩევნო პროცესზე მონიტორინგს ახორციელებენ „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები, რომლებმაც წინასწარ გაიარეს ორგანიზაციის მიერ რეალიზებული სამონიტორინგო შესამდებლობათა გაფართოების სატრენინგო პროგრამა.

გარდა აღნიშნულისა, 30-31 ივლისს „მრავალეროვანი საქართველოს“ ორმა გრძელვადიანმა დამკვირვებელმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ სატრენინგო პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ცნობიერების დონის ამაღლებას საარჩევნო ანგარიშგებისა და არჩევნების მონიტორინგის საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე.

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები წინასაარჩევნო პროცესებზე მონიტორინგს აწარმოებენ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

- ზოგადი პოლიტიკური და ელექტორალური კონტექსტი;
- ეთნიკურ უმცირესობათა ცნობიერების დონე საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამების შესახებ;
- პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ საარჩევნო კამპანიის რეალიზების ასპექტები;
- პრეზიდენტობის კანდიდატების საპროგრამო დოკუმენტებში უმცირესობათა პრობლემატიკის ასახვის პრაქტიკა;
- საარჩევნო კამპანიის რეალიზების პროცესში პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ ეთიკური (მათ შორის ეთნიკურ, ან რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილის ენის გამოვლენის პრაქტიკა) სტანდარტების დაცულობის პრაქტიკა;
- პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პრაქტიკა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესი;
- საარჩევნო მიზნით ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- საარჩევნო მიზნით მარეგულირებელი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- საარჩევნო მიზნით აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- საარჩევნო მიზნით ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

წინასაარჩევნო პროცესის სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები მუდმივ რეჟიმში აკვირდებიან მიზნობრივი რეგიონების შესაბამის საარჩევნო ოლქებში არსებულ ვითარებასა და ელექტორალური ხასიათის ტენდენციებს ყველა ზემოთ აღწერილ საკითხებთან მიმართებაში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ყველა ინციდენტი, რომელიც იდენტიფიცირებულია გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ ექვემდებარება ხელმეორედ შესწავლასა და გადამოწმებას.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხთან მიმართებაში სადამკვირვებლო პროგრამის ფარგლებში გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი და აღნუსხული ინციდენტები ზოგადად იყოფა და შესაბამისად ჯგუფდება ორ ძირითად კატეგორიად, კერძოდ: ა) ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება (სავარაუდო ინციდენტები) და ბ) ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება (ინციდენტები).

2. წინასაარჩევნო პერიოდი - პრაქტიკა, სიახლეები და გამოწვევები

2018 წლის 28 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებისათვის სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია ძალას იკრებს და აქტიურ ფაზაში ინაცვლებს.

ზოგადად, წინასაარჩევნო პროცესი ძირითადად მშვიდ, ზეწოლისგან თავისუფალ და სამართლიან გარემოში მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს პრეზიდენტობის კანდიდატებს კონკურენტულ რეჟიმში აწარმოონ ამომრჩევლებთან შეხვედრები და გააცნონ მათ თავიანთი საპროგრამო ხედვები და სამომავლო პოლიტიკური ინიციატივები.

აღნიშნას საჭიროებს ის ტენდენცია, რის შესაბამისადაც საარჩევნო გარემო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში გამოირჩევა გამოვლენილი ელექტორალური დარღვევების ნაკლები სამართლებრივი წონადობით, ისევე როგორც დარღვევების სიმწირით.

კერძოდ, „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში გამოვლინდა სააგიტაციო მასალის (პლაკატების) კანონდარღვევით გაკვრის 3 ინციდენტი და ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 1 ინციდენტი.

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა სააგიტაციო მასალის დადგენილი წესის დარღვევით გაკვრის სამი ინციდენტი #37 ახალციხის, #40 ახალქალაქისა და #21 გარდაბნის საარჩევნო ოლქებში, ასევე ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ერთი შემთხვევა #41 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქში.




ახალციხის რკინიგზის სადგურის საბარგო ტერიტორიაზე დაფიქსირდა დარღვევით გაკრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის პლაკატი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილი, სადაც გაკრული იყო აღნიშნული სააგიტაციო მასალა, არ არის შეყვანილი ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ჩამონათვალში (21 სექტემბერი).



#21 გარდაბნის საარჩევნო ოლქში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ დაფიქსირდა ინციდენტი, რის შესაბამისადაც გარდაბანში პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის პლაკატებზე ზემოდან გადააკრეს პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის პლაკატი (21 სექტემბერი).

#40 ახალქალაქის საარჩევნო ოლქში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებელის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ინციდენტი, რის შესაბამისადაც ქ. ახალქალაქის შესასვლელში მდებარე შოთა რუსთაველის ძეგლზე დაფიქსირდა დარღვევით გაკვრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის პლაკატი, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილი, სადაც გაიკრა აღნიშნული სააგიტაციო მასალა, არ გახლავთ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ჩამონათვალში (10 ოქტომბერი).



#41 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ქ. ნინოწმინდის მერი, მერიის შენობაში იზარებდა „ქართული ოცნების“ შტაბის აქტივისტებს და აძლევდა დავალებებს სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერ კამპანიასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას (21 სექტემბერი).

ოთხივე ინციდენტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით, „მრავალეროვანმა საქართველომ“ მიმართა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას.

ოთხივე ინციდენტის მოკვლევისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, უწყებათაშორისი კომისიამ შეიმუშავა და წარუდგინა რეკომენდაციები შესაბამის საჯარო სტრუქტურებს.

ზოგადად, არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში წინასაარჩევნო პერიოდის ანალიზი მკაფიოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძირითადად აქტიურ პოლიტიკურ კამპანიას აწარმოებენ „ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე, გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე და პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც მხარდაჭერა გამოუცხადა მმართველმა პარტიამ.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ათი ოპოზიციური პარტიის მიერ შექმნილმა გაერთიანებამ „ძალა ერთობაშია“, ერთიან პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა გრიგოლ ვაშაძე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმავდროულად გაერთიანებაში შემავალმა ოთხმა კვალიფიციურმა სუბიექტმა დაარეგისტრირა საკუთარი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატები: მიხეილ ანთაძე (მოდრაობა სახელმწიფო ხალხისათვის), ზვიად ბაღდავაძე (სამოქალაქო პლატფორმა-ახალი საქართველო), ზვიად მეხატიშვილი (საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია) და ზვიად იაშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდენტობის კანდიდატების დამარეგისტრირებელ ოთხივე პარტიას შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტისაგან და იყოლიოს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლები, ასევე ისარგებლოს უფასო სარეკლამო დროით.

მართალია, რომ გაერთიანებული ოპოზიციის მსგავსი ხასიათის პოლიტიკური მანევრი კანონმდებლობით არ გახლავთ აკრძალული, თუმცა აღნიშნულით ზოგადად პრეზიდენტობის კანდიდატები არათანაბარ მდგომარეობაში ვარდებიან იმდენად, რამდენადაც ფაქტობრივად გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ ოთხი ე.წ. ტექნიკური კანდიდატების მეშვეობით ხუთჯერ მეტ საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს სხვა კანდიდატებთან შედარებით, ისევე როგორც ისარგებლებს ხუთჯერ მეტი უფასო სარეკლამო დროით სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით.

წინასაარჩევნო პერიოდში „მრავალეროვანი საქართველო“ მონიტორინგს ახორციელებდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა ელექტორალური ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით. ამ მიმართულებით, ცესკოს მიერ უკვე განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რაც გამოიხატა შემდეგი ხასიათის აქტივობათა რეალიზებით:

- საარჩევნო ხასიათის საინფორმაციო რგოლი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და ვრცელდება რეგიონული ტელევიზიების ეთერით;
- ვრცელდება სპეციალური ვიდეო რგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ;
- ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, ამომრჩევლებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეუძლიათ ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მობილური ტელეფონის/პლანშეტის გამოყენებით და სწრაფი გადახდის ტერმინალის საშუალებით;
- ცესკოს მიერ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა ხასიათის საარჩევნო დოკუმენტაცია, ისევე როგორც იმართებოდა მათი შესაძლებლობათა გაფართოების სატრენინგო პროგრამა.

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცედურები. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევის პროცესი წარიმართა მშვიდ გარემოში, საარჩევნო კანონმდებლობის სრული დაცულობით, რის საფუძველზეც ხმათა უმრავლესობით შეირჩა საუბნო საარჩევნო კომისიების 6 წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში შეიქმნა 346 საარჩევნო უბანი, აქედან:

- ქართულ-აზერბაიჯანული - 209 უბანი;
- ქართულ-სომხური - 113 უბანი;
- ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული - 4 უბანი.

აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტიც, რომ წელს, პირველად, 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა, დაენიშნათ დამკვირვებლები ელექტრონული ფორმითაც, ონლაინ რეჟიმში. ამ სერვისის პირველი მომხმარებელი გახდა „მრავალეროვანი საქართველო“. საგულისხმოა ისიც, რომ ამ სახით დამკვირვებელთა რეგისტრაციამ სრულიად გაამარტივა დამკვირვებელთა აკრედიტაციის პროცესი, რომელიც საკმაოდ შრომატევად პროცედურებს მოიცავდა.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „მრავალეროვანი საქართველო“ აქტიურად აწარმოებს დიალოგს საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების საკითხებით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარესთან, როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორის ფორმატში.

ამ თვალსაზრისით, ორგანიზაციის ჩართულობის მიზანია, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მხარეთა სრულფასოვანი ინფორმირება 2018 წლის საარჩევნო ციკლისათვის ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა სპეციფიური ელექტორალური საჭიროებებისა და გამოწვევების თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, გაწიოს ღირებული ადვოკატირება არსებულ გამოწვევებზე დროული, ჯეროვანი და მდგრადი რეაგირების მოხდენის მიზნით.

აღნიშნულ კონტექსტში „მრავალეროვანი საქართველო“ ინარჩუნებს ეფექტურ ფუნქციონალურ კომუნიკაციას საარჩევნო ადმინისტრაციასთან.

14 სექტემბერს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის



მემორანდუმს, რომელიც გაფორმდა ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. „მრავალეროვანი საქართველოს“ სახელით ღონისძიებას დაესწრო და მემორანდუმს ხელი მოაწერა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ირმა ბასილაშვილმა.

3. ჩართულობა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განსავითარებლად - „მრავალეროვანი საქართველოს“ პროგრამული აქტივობები

1 ოქტომბერს ხელი მოეწერა რიგით მესამე ქცევის (ეთიკის) კოდექსს, რომელიც გაფორმდა ცესკოსა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის. დოკუმენტი წარმოადგენს შეთანხმებას 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაციის წარმომადგენლები უწყვეტ რეჟიმში იღებენ მონაწილეობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ „ტექნიკური სამუშაო ჯგუფის“ (TWG) მუშაობაში და შესაბამისად ჯგუფის წევრებს უზიარებენ ინფორმაციას ორგანიზაციის მიერ ელექტორალური კუთხით გაწეული საქმიანობის, ისევე როგორც სამომავლო გეგმების თაობაზე.



„მრავალეროვანი საქართველო“ აქტიურად არის ჩართული და მონაწილეობას იღებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ორგანიზაციის მიერ სადამკვირვებლო პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებული ინციდენტები განხილულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე, რომელთა თაობაზეც კომისიამ შეიმუშავა და შესაბამის საჯარო სტრუქტურებს წარუდგინა რეკომენდაციები.

მიმდინარე წლის სექტემბერში „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაში. საუბარი შეეხო ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო გარემოსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებში არსებულ ვითარებასა და ელექტორალურ გამოწვევებს.

„მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელმა ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტს გაუზიარა ორგანიზაციის ხელთ არსებული ინფორმაცია წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობისა და ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული საარჩევნო დარღვევების თაობაზე. საუბარი ასევე შეეხო „მრავალეროვანი საქართველოს“ არჩევნებზე სადამკვირვებლო პროგრამის ძირითად მახასიათებლებზე, კერძოდ: პროგრამის დაფარვის არეალზე, მეთოდოლოგიურ თავისებურებებსა და სხვა თანმდევ საკითხებზე.

„მრავალეროვანი საქართველო“ აგრძელებს თანამშრომლობას ეროვნულ დემოკრატიული

ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო მისიასთან და შესაბამისად უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ელექტორალური ხასიათის ინფორმაციის გაზიარებას, ისევე როგორც მისიის წარმომადგენლის მიწვევას „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ ორგანიზებული საარჩევნო ხასიათის შეხვედრებზე.

19 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს დელეგაციასთან, რომელსაც ესწრებოდნენ 4 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის „მრავალეროვანი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამის კოორდინატორი, ირმა ბასილაშვილი. შეხვედრა მიეძღვნა წინასაარჩევნო გარემოსა და არსებულ გამოწვევებს.

26 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა და USAID-ის ხელმძღვანელმა უმასპინძლეს სამუშაო შეხვედრას სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელშიც მონაწილეობას იღებდა „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანი. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული საკითხები, ისევე როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციების სამომავლო გეგმები.



მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ არნოლდ სტეფანიანმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან, ჯორჯ კენტთან გამართულ შეხვედრაში. შეხვედრის ფორმატში მან მიმოიხილა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებში არსებული ზოგადი პოლიტიკური და ელექტორალური გარემო, ასევე ისაუბრა წინასაარჩევნო პროცესში ორგანიზაციის მიერ გამოვლენილ ძირითად მიგნებებსა და ინციდენტებზე.



15 ოქტომბერს, „მრავალეროვანი საქართველოს“ ოფისში გაიმართა შეხვედრა ეუთო-ს გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან, რომელზეც მიმოიხილულ იქნა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებში არსებული ზოგადი პოლიტიკური და ელექტორალური ვითარება, ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში არსებული გამოწვევები. „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს ორგანიზაციის არჩევნებზე სამონიტორინგო პროგრამის ძირითადი მიგნებები და სამომავლო გეგმები. მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობის შემდგომ განვრცობასა და ინფორმაციის ურთიერთ გაზიარებაზე.

4. ინფორმირებული ამომრჩეველი - გააზრებული არჩევანი

„მრავალეროვანი საქართველო“ აგრძელებს საქმიანობას საარჩევნო პროცესში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ამომრჩეველთა ინფორმირებული ჩართულობის ხელშეწყობისა და მათთვის ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარების მიმართულებით.

ამ მიზნით, 7 ოქტომბერს, „მრავალეროვანი საქართველოს“ ორგანიზებით სასტუმრო „მუზეუმში“ გაიმართა შეხვედრების პირველი ციკლი პრეზიდენტობის კანდიდატებთან - დავით ბაქრაძესთან („ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“) და შალვა ნათელაშვილთან



(„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“), რომელშიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან მოწვეული ადგილობრივი სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები, ასევე საზოგადოებრივი აზრის ლიდერები. საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები მიზნად ისახავდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქარლის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას პრეზიდენტობის კანდიდატების პოლიტიკური ხედვებისა და საპროგრამო მიდგომების თაობაზე.

შეხვედრების შემდგომი ციკლი გაიმართება შემდეგ კანდიდატებთან: სალომე ზურაბიშვილთან (დამოუკიდებელი კანდიდატი) და დავით უსაფაშვილთან („თავისუფალი დემოკრატები“).

შეხვედრები საპრეზიდენტო კანდიდატებთან ხორციელდება „ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით.

გარდა აღნიშნულისა, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნილებული ამომრჩევლების ელექტორალური ცნობიერების დონის ამაღლების პროგრამის ფარგლებში 6-7 ოქტომბერს „მრავალეროვანი საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა საარჩევნო ხასიათის დებატები მედია ორგანიზაცია „ალიქ მედიაში“.

პროგრამის მიზანია აამაღლოს ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სომხურენოვანი ამომრჩევლების ცნობიერების დონე საპრეზიდენტო არჩევნების არსისა და საერთო საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო პროცესში მოქალაქეთა გააზრებული ჩართულობის მნიშვნელობის თაობაზე.

დებატებში მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობებისათვის 1+4 სასწავლო პროგრამის ეთნიკურად სომეხმა სტუდენტებმა, საქართველოში სომხური თემის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო და წარმატებულმა წარმომადგენლებმა, ასევე ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორისა და მედიის წარმომადგენლებმა.

სულ პროგრამის ფარგლებში გაიმართა სამი სატელევიზიო დებატი, რომელთა ჩანაწერებიც გავრცელდება ადგილობრივი სატელევიზიო კომპანიების ეთერით ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში.

ამომრჩეველთა ელექტორალური ცნობიერების დონის ამაღლების პროგრამა ხორციელდება „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ, სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით.



5. მზადება არჩევნების დღისათვის

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში „მრავალეროვანი საქართველომ“ დაიწყო მოკლევადიან დამკვირვებელთა შესამდლებლობათა გაფართოების სატრენინგო პროგრამა.


პროგრამის ფარგლებში ტარდება მოკლევადიან დამკვირვებელთა სამონიტორინგო შესამდლებლობათა გაფართოების სატრენინგო სესიების ციკლი, რომელიც მორგებულია დამკვირვებლების კონკრეტულ სამონიტორინგო საჭიროებებზე და, შესაბამისად, ფოკუსირებულია ისეთი თემატური საკითხების განხილვასა და გააზრებაზე, როგორებიცაა საარჩევნო წესები და პროცედურები, საარჩევნო უბნებზე დასწრების უფლების მქონე მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების მეთოდები და ტექნიკური თავისებურებები, პროგრამის ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, საჩივრების შედგენის მეთოდოლოგია და სხვა.



პროგრამა ხორციელდება „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ სპეციალურად მომზადებული კვალიფიციური ტრენერების მიერ.

პროგრამის დასრულების შემდგომ მოკლევადიან დამკვირვებლები არჩევნების დღეს უშაუალოდ ჩაერთვებიან და მონაწილეობას მიიღებენ „მრავალეროვანი საქართველოს“ სამონიტორინგო პროგრამაში.

მედია მხარდაჭერა



საზოგადოებრივი
მაუწყებელი



იმედი



პრაიმთაიმნიუსი

